ადრეულ ასაკში დედის ემიგრაციაში ყოფნასთან დაკავშირებული ფსიქოემოციური მახასიათებლები

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია, ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრმა: ფსიქოლოგია

მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია შეყრილაძე,

ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

მე, როგორც ავტორი ამ სამაგისტრო ნაშრომისა, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოდგენს ჩემს ნამუშევრს და არ წარმოადგენს სხვა ავტორების მიერ დღემდე გამოქვეყნებულ ან გამოსაქვეყნებელ მასალებს. ხოლო მასალები, რომლებიც გამოყენებულია, დაცულია სათანადოდ ციტირებული წესების შესაბამისად.

15.06.2022

აბსტრაქტი

ფაქტია, რომ დედა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის შემდგომ განვითარებასა და ცხოვრებაში. თუნდაც ჯანსაღი მიჯაჭვულობა, ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის ცხოვრებაში და შემდგომ ურთიერთობებში, რადგან სწორედ ამ ყველაფრიდან სწავლობს ბავშვი ურთიერთობებს და უყალიბდება ნდობა სამყაროს თუ სხვების მიმართ. მიჯაჭვულობის მნიშვნელობაზე არა ერთი ავტორი საუბრობს და მრავალი კვლევაა ჩატარებული ამ საკითხის ირგვლივ, კერძოდ, დედის როლზე ბავშვის განვითარების პროცესში, დედასთან განშორებაზე და იმ სირთულეებზე, რაც ამას მოჰყვება. განცალკევება შეიძლება მოხდეს იმ მიზეზით, რომ მშობელს ემიგრაციაში მოუწიოს წასვლამ. საქართველოში ქალთა შრომითი მიგრაცია ძალზედ გავცრელებული მოვლენაა. სამწუხაროდ, ასეთ დროს ხშირად ქალებს მცირეწლოვანი ასაკის ბავშების დატოვება უწევთ. ბავშვებზე და მათ ფსიქიკურ მდგომარეობაზე, რომელთაც აქვთ გამოცდილება დედის ემიგრაციაში წასვლის, მრავალი კვლევაა ჩატარებული. სწორედ ამ საკითხს ეხება წინამდებარე ნაშრომიც. კვლევაში შევისწავლე ფსიქოემოციური მახასიათებლები (თვითეფექტურობა, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა, შფოთვა) და დედის ემიგრაციაში ყოფნის გამოცდილება. კვლევაში გამოვლინდა ტენდენციები ცვლადებს შორის, თუმცა არ დადასტურდა კავშირი ბავშვის ასაკს, როდესაც დედა წავიდა და შფოთვას, თვითეფექტურობას შორს. ასევე არ გამოვლინდა კავშირი დედის შრომით მიგრაციაში ყოფნის ხანგრძლივობასა, მასთან ტელეფონით, სოციალური ქსელით კონტაქტის სიხშირესა და თვითეფექტურობას, პიროვნულ შფოთვას ან ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას შორის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დედის ემიგრაცია, ემიგრაციაში ყოფნის ხანგრძლივობა, დედასთან კონტაქტის სიხშირე, ასაკი დედის ემიგრაციაში წასვლისას, თვითეფექტურობა, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა, პიროვნული შფოთვა

Abstract

It's a fact that mother plays an important role in the further development and life of the child. Even a secure attachment is very important in a child's life and in future relationships, because these things help a child to learn relationships and build trust in the world or others. Numerous authors talk about the importance of attachment, and many studies have been conducted on this issue, in particular, the role of the mother in the development of the child, separation from the mother and the difficulties that will follow. Separation can occur for the reason that a parent has to emigrate. Labor migration of women in Georgia is a very widespread phenomenon. Unfortunately, at such times women often have to leave their young children. Numerous studies have been conducted on children and the mental state of those who have experienced emigration of mother. This is the subject of this paper. In the study, I studied the psycho-emotional characteristics (self-efficacy, psychological well-being, anxiety) and the experience of the mother being in emigration.

The results of the study revealed trends between the variables, although did not confirm a correlation between the age of the child when the mother left and anxiety, far from self-efficacy. There was also no correlation between length of stay of the mother in migration, frequency of contact by telephone, social network and self – efficacy, personal anxiety or psychological well-being.

Keywords: mother's emigration, length of stay in emigration, frequency of contact with mother, age when mother emigrates, self-efficacy, psychological well-being, personal anxiety.

მადლობა

გაწეული შრომისთვის და ნაშრომის მომზადების პროცესში ჩართულობისთვის, მსურს, მადლობა გადავუხადო, ჩემს ხელმძღვანელს, „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“, ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ ია შეყრილაძეს, რომელიც მაძლევდა მიმართულებას და მეხმარებოდა ნაშრომის მომზადებაში.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო, თითოეულ რესპოდენტს იმ დროისთვის დათმობისთვის, რაც კვლევაში მონაწილეობას დასჭირდა. მათ გარეშე, ვერ შევძლებდი კვლევის ჩატარებას და სამაგისტრო ნაშრომის დაწერას.